ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74. 74242337**

თარიღი:**20/08/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და “ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დამტკიცებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
20/08/2024 წლის №74.74242337 ბრძანებით

დანართი N1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

პრეამბულა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში „მერია") პოლიტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით, დამყარებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრულ პრინციპებზე და სრულად შეესაბამება მას.

იმის გათვალისწინებით, რომ მერიისათვის ფასეულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მოწოდებულია უზრუნველყოს მათი სრულფასოვანი დაცვა.

პოლიტიკის დოკუმენტში განმარტებული და განსაზღვრულია ის პრინციპები, მიზნები, საფუძვლები და ფარგლები, რომლითაც მერია ხელმძღვანელობს სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში.

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1.წინამდებარე პოლიტიკა სრულად ვრცელდება მერიის მიერ პერსონალური მონაცემების ავტომატური, ნახევრად ავტომატური, ან არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე და გამოიყენება პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესში.

2. აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელთა მონაცემებიც მუშავდება მერიის მიერ, ასევე, მონაცემთა მიმღებზე და იმ უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც მერიის სახელით ან მისთვის ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) **პერსონალური მონაცემი** - (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

გ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

დ) დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

ე) მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

ვ) მონაცემთა სუბიექტის თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

ზ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;

თ) მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

ი) მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე;

კ) მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;

მუხლი 3 . პოლიტიკის მიზანი და მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1.პოლიტიკის მიზანია, დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ ძირითადი ინფორმაცია, თუ როგორ მუშავდება მერიის მიერ პერსონალური მონაცემები, როგორ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვა და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. მერია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს შემდეგი კანონიერი მიზნებისთვის:

ა) ორგანიზაციული საქმიანობის ფარგლებში;

ბ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განსაზღვრულ შემთხვევებში საკრებულოსთვის წარსადგენი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებისას;

გ) მოქალაქეთა განცხადებების განსახილველად და მათთვის მომსახურების გასაწევად;

დ) კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის შრომითი ხელშეკრულების დადების, თანამშრომლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შეფასების მიზნებისათვის;

ე) მერიის მიერ სხვა უფლებამოსილების განხორციელებისას.

3. მერიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) სუბიექტის თანხმობა (16 წლამდე არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით);

ბ) გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

დ) მონაცემი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი;

ე) სასიცოცხლო ან/და საჯარო ინტერესების დასაცავად;

ვ) მერიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

მუხლი 4 . პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. მერია მონაცემებს ამუშავებს კანონის შესაბამისად, კანონით განსაზღვრული შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;

ბ) მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნისთვის და არ უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული;

ე) მონაცემები შენახულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;

ვ) მონაცემების არამართლზომიერი დამუშავებისგან დასაცავად მიღებულ უნდა იქნეს თანმდევი საფრთხეების შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

მუხლი 5. პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები და მისი დამუშავება

1. მერიის მიერ დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ჩამოთვლილი კატეგორიის მონაცემებს მათი დამუშავების მიზნის პროპორციულად:

ა)საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი;

ბ) საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის, ფაქტობრივი);

გ) ფინანსური ინფორმაცია - ბანკის ანგარიშის რეკვიზიტები;

დ) დოკუმენტური ინფორმაცია - წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია;

ე) სახელშეკრულებო ინფორმაცია - მერიასა და სუბიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია;

ვ) ტექნიკური ინფორმაცია - ინფორმაცია მერიის ვებ-გვერდზე ვიზიტისას გამოყენებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შესახებ;

ზ) სხვა სახის ინფორმაცია - ყველა ის ინფორმაცია, რასაც სუბიექტი უზიარებს/აწვდის მერიას.

2. პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით პირის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას.

3. თანხმობას მონაცემთა სუბიექტი გამოხატავს ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული წესით, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება და გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

4. მერიამ შეიძლება დაამუშაოს მონაცემები მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე ან განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა მონაცემთა დამმუშავებლის დახმარებით. მონაცემთა დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 6. მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა მოპოვების წყაროები

1. მერია სუბიექტის პერსონალურ მონაცემებს იღებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) მონაცემთა სუბიექტის მომართვისას მერიაში დასაქმების ან სტაჟირების მიზნით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის მიმართვისას მერიის პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) მონაცემთა სუბიექტის მიმართვისას მერიასთან სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების გაფორმებისას;

დ) მერიის საკომუნიკაციო არხების გამოყენებისას და ადგილზე ვიზიტისას;

ე) მერიის შემოსული ელექტრონული და მატერიალური წერილებიდან;

ვ) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

მუხლი 7. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

1.მერიამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით მერიისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე სხვა მესამე პირებთან, მერიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

2. მესამე პირს წარმოადგენენ ის ფიზიკური და/ან იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანოები, რომელთან ურთიერთობის და ინფორმაციის გაზიარების აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით და/ან სახელშეკრულებლო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებით.

მუხლი 8. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვება

1. მერიამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებისგან მოიპოვოს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით მერიისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე მესამე პირებისგან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან,

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ასოციაციის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

მუხლი 9. მონაცემთა უსაფრთხოება

1. მერიაში მიღებულია ისეთი გონივრული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

2.მერიაში მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

მუხლი 10. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს მერიას ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ასეთ დროს მერია მოთხოვნის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

ა) რომელი კატეგორიის მონაცემები მუშავდება მის შესახებ;

ბ) რა მიზნით მუშავდება მონაცემები;

გ) რა სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება მონაცემები;

დ) რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები;

ე) გაცემულა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირზე, ვისზე გაიცა - მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

2. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს მერიას და იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ, მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, დაბლოკვა, განახლება, დამატება, წაშლა, ან განადგურება. ასეთ დროს მერია შესაბამის რეაგირებას ახდენს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

3. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოს (მოითხოვოს მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება) მის მიერ მერიისათვის გაცხადებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მერია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა მხოლოდ მონაცემთა სუბიქტის მიერ გამოხატული თანხმობის საფუძველზე, მერია უზრუნველყოფს შესაბამისი ქმედების განხორციელებას ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 11. პოლიტიკის გადახედვა

1.წინამდებარე პოლიტიკა გადაიხედება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში, მასში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით.